

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის ფარგლებში 1000 სოფელი მაღალი ხარისხის ინტერნეტს დაუკავშირდება

ვაშინგტონი, 28 აგვისტო, 2020 – მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დღეს 35.7 მლნ ევროს მოცულობის (40 მლნ. აშშ დოლარი) დაფინანსება გამოყო **Log-in Georgia** პროექტისთვის, რომლის მიზანია საქართველოს სოფლის მოსახლეობის, საწარმოებისა და საჯარო დაწესებულებების მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტთან დაკავშირება და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა.

Log-in Georgia პროექტის საშუალებით მსოფლიო ბანკი მხარს დაუჭერს საქართველოს ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარების ეროვნულ სტრატეგიას 2020-2025 წლებისთვის, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ იქნა 2020 წლის იანვარში. პროექტი ხელს შეუწყობს 1000-მდე სოფლის, მათ შორის, მაღალმთიანი დასახლებული პუნქტების დაკავშირებას მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომ სწრაფ ინტერნეტსერვისთან. პროექტით გათვალისწინებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განხორციელებით სარგებელს მიიღებს დაახლოებით 500,000 ადამიანი, რომელიც ამჟამად მაღალი ხარისხის, მაღალსიჩქარიან ინტერნეტს მოკლებულ რაიონებში ცხოვრობს.

*„მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს მიზანს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით აამაღლოს თავისი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და ამგვარად, შექმნას უკეთესი სამუშაო ადგილები და შესაძლებლობები თავისი მოქალაქეებისთვის,“ - აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა. „პროექტი **Log-in Georgia** საქართველოს დაეხმარება ეკონომიკური დუალიზმის დაძლევაში, რათა სოფლის მოსახლეობისა და რეგიონებში მოქმედი საწარმოებისათვის იმ შესაძლებლობებთან წვდომა უზრუნველყოფს, რითაც ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს. ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდება ქვეყნის რეგიონების მასშტაბით ციფრული კავშირის ზრდაში ინვესტირებითა და ციფრული სერვისების განვითარების ხელშეწყობით. აღნიშნული დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, კიდევ უფრო გაამყარებს მისი როგორც ინოვაციური „ჰაბის“ და ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყნის პოზიციას და ასევე, უზრუნველყოფს მდგრად აღდგენას COVID-19 -ის პანდემიის ფონზე.“*

პროექტი **Log-in Georgia** სამი კომპონენტისგან შედგება: (i) ფინანსურად ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდა; (ii) მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა; და (iii) პროექტის დანერგვის მხარდაჭერა. სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაფარვის ზრდით და ასევე, ქვეყნის მასშტაბით ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით, პროექტი ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას. პროექტი წახალისებს ციფრულ საფინანსო სერვისებსა და ელექტრონულ კომერციას, ისევე როგორც

ელექტრონული მთავრობის სერვისებს. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს დისტანციური სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარებას.

*„მსურს ხაზი გავუსვა, რომ პროექტი **Log-in Georgia**, რომელსაც დღეს მსოფლიო ბანკთან ერთად ვიწყებთ, ათასამდე დასახლებულ პუნქტში დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს მაღალი ხარისხის ინტერნეტითა და ბევრი ისეთი თანამედროვე სერვისით სარგებლობის საშუალებას მისცემს, როგორებიცაა ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება და ელექტრონული კომერცია. ისინი ასევე შეძლებენ შინიდან დისტანციურად მუშაობას. მხარდაჭერა, რომელსაც ვიღებთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციებისგან, მათ შორის, მსოფლიო ბანკისგან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მიმდინარე რეფორმების და პროგრამების განხორციელებაში, უდიდესი მნიშვნელობისაა. განსაკუთრებით გამორჩეულია, მსოფლიო ბანკის მხრიდან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა კრიზისის კონტექსტში, კერძოდ COVID-19-ის პანდემიის საპასუხო ღონისძიებების განხორციელებაში,“* - აცხადებს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.

პროექტი ხელს შეუწყობს ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას პოლიტიკისა და მარეგულირებელი რეფორმების საშუალებით, რათა სოფლად ინტერნეტპროვიაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტსერვისის მიწოდება. ამავე დროს, სამიზნე დასახლებულ პუნქტებში სპეციალური ღონისძიებები განხორციელდება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშესაწყობად.

„ჩვენ განვაგრძობთ წარმატებულ თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან საქართველოს მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად. დღეს დამტკიცებული პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის არსებული განსხვავების შემცირებას, რასაც დიდწილად შეუწყობს ხელს ქვეყნის მასშტაბით ციფრული ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტთან წვდომის გავრცელება,“ - განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა.

პროექტი განხორციელდება არა-მეწარმე, არაკომერციული იურდიული პირის Open Net-ის მიერ ხუთი წლის განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერითა და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობით.

Press Release No: 2021/ECA/09

საკონტაქტო პირები:

თბილისში: ირმა გეგეჩკორი, (+995 32) 2296 246, igegechkori@worldbank.org

ვაშინგტონში: სონა ფანაჯიანი, +1 (202) 473 9751, spanajyan@worldbank.org

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად
ეწვიეთ ვებგვერდს:

<http://www.worldbank.org/en/country/georgia>

შემოგვიერთდით Facebook -ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>